

- 3.9. ფედერაცია ვალდებულია სტადიონზე იყოლოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;
- 3.10. ტურნირში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;
- 3.11. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1. გუნდებმა განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 20 აპრილისა.
- 4.2. თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.
- 4.3. რეგიონებიდან ჩამოსულ გუნდებს განაცხადზე უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ფედერაციის ბეჭედი.
- 4.4. განაცხადთან ერთად გუნდებმა უნდა წარმოადგინონ საგანმანათლებლო სკოლის ცნობა, ასაკის ჩვენებით დამტკიცებული დირექტორის ბეჭდით.
- 4.5. გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით.

5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

- 5.1. ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.

6. მსაჯობა

- 6.1. თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურეობის ხარჯებს აანაზღაურებს თფფ;
- 6.2. მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით.
- 6.3. მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.
- 6.4. მსაჯის მიერ გაკონტროლებული იქნება თამაშგარე მდგომარეობა.